ტექნოლოგიური თვისებების მიხედვით (მექანიკური სიმტკიცე, თბოვნარიანობა, ფორმირება, ნატრიანობა, გოგირდის შემცველობა) მიღებული ბრიკეტები თითქმის არ განსხვავდება მეტალურგიული კოქსისაგან, ხოლო რეაქციის უნარიანობის მიხედვით თითქმის ორჯერ სჭარბობს გას.

ამგვარად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ მექანიკურად მტკიცე ბრიკეტების მისაღებად ოპტიმალური პარამეტრებია: შემკვრელის რაოდენობა 8 - 10%, მასალის სინესტე 4 - 8%, დაწნებვის მინიმალური სიდიდე 25-40 მპა, თერმიული დამუშავების ტემპერატურა  $120-130^{\circ}\text{C}$ . ფრაქციული შემადგენლობა პრაქტიკულად გავლენას არ ახდენს მიღებული ბრიკეტების ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებზე.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვნა, რომ შესაძლებელია კოქსის წარმოებაში არსებული ნარჩენების გამოყენება ნაჭროვანი უკვამლო სათბობის დასამზადებლად; გას შეუძლია, აგრეთვე, შეცვალოს ძირადლირებული კოქსი ფეროშენადნობთა წარმოებაში დაბალჭამვიან ბრძმედებსა და თბოელექტროსადგურებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
რ.აგლომის სახ. არაორგანული ქიმიისა და  
ელექტროქიმიის ინსტიტუტი

შემოვიდა 05.08.1993

Б.М.МАЙСУРАДЗЕ, Н.Ш.ДЖИДЖЕЙШВИЛИ, И.А.КРАЦАШВИЛИ,  
М.М.АВАЗАШВИЛИ

## ПОЛУЧЕНИЕ БЕЗДЫМНОГО ОКУСКОВАННОГО ТОПЛИВА ИЗ МЕЛОЧИ КОКСОВОГО ПРОИЗВОДСТВА

Резюме

Изучено влияние различных связующих веществ на процесс окускования мелкозернистых коксовых мелочей.

Установлено, что брикеты, полученные на основе сульфид-спиртовой барды, по своим физико-технологическим свойствам полностью удовлетворяют требованиям, предъявляемым к бытовым и энергетическим топливам.

# PREPARATION OF SMOKELESS AGGLOMERATED FUEL FROM THE COKE PRODUCTION SMALLS

## Summary

The influence of different binding substances on the process of agglomeration of finely granular coke breeze has been studied.

It has been found, that the briquettes, obtained on the sulfide-alcohol solution basis completely satisfy with the standards of the condition and power-generating fuels by their physical and chemical properties.

## ლიტერატურა-REFERENCES

1. Е.М.Тайц , Б.М.Равич, И.А.Андреева. Получение окускованного бездымного топлива и кокса. М.: Недра, 1970, 120.
2. А.Н.Гагнидзе, Л.А.Дракин. Сообщения АН ГССР, 63, 1, 1971, 89-91.
3. П.З.Шубеко, Г.И.Еник. Бездымное высокореакционное топливо, М.: Недра, 1967, 122.
4. П.А.Щукин, А.Е.Мохнашин, Н.П.Казакевич. Химия твердого топлива, 6, 1970, 67-79.
5. Д.А.Цикарев, Б.С.Филиппов, А.И.Кулик. Химия твердого топлива, 6, 1970, 75-80.
6. П.А.Щукин, Р.А.Гегучадзе, Е.И.Казаков. Химия твердого топлива, т. XXVIII, вып. I, 1972, 48-56.
7. В.П.Окладников, Б.М.Равич, Д.И.Цикарев. Современное состояние производства бездымного топлива за рубежом, М., ЦНИЭИуголь, 1977, 125.

უაგ 669.782.3



გ. ზვიადაძე, რ. ლაგაშვილი

**ოქსიდური ჟემადგენლობის ნარჩენებიდან დაგალტებას ერატურულ  
გლაზებაზი ფეროსილიპოალუმინის მიღების გამოყვავება**

საქართველოში დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა წარმოებათა ალუმინის, სილიკიუმის და რკინის ოქსიდების შემცველი ნარჩენები, რომლებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული ფეროსილიკოალუმინის მისაღებად. მათ მიეკუთვნებან ქვანახშირის გამდიდრების ნარჩენები, ქვანახშირის თბოსაღგურებში წვის ნაცარი, მეორადი ალუმინის წარმოების წილები და მეორადი ალუმინის წარმოების ანაცერის ნარჩენები. ამ ნედლეულიდან მიღებული ფეროსილიკოალუმინი მიეკუთვნება ფოლადის წარმოებაში განშეანგველად გამოსაყენებელ კომპლექსურ შენაღნობებს.

აღნიშნული არასტანდარტული ნედლეულიდან მომზადებული კაზში შეტალურგიული გადამუშავებისათვის მოითხოვს მაღალტემპერატურულ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს გამოსავალი რთული ოქსიდების ერთობლივ ალდგენას ნახშირბადოვანი და ნახშირწყალბადოვანი რეაგენტებით. ამგვარი პროცესი შეიძლება წარიმართოს დაბალტემპერატურული პლაზმის გარემოში.

ექსპერიმენტულ კვლევას წინ უძლოდა რკინის, სილიკიუმის და ალუმინის ოქსიდების კარბოთერმული ალდგენის თერმოდინამიკური ანალიზი. აღნიშნული ანალიზისას დაშვებული იქნა, რომ დაბალტემპერატურული პლაზმის პირობებში სილიკიუმის და ალუმინის რთული ოქსიდები კალციუმის და რკინის ოქსიდებთან მთლიანად დისოცირდებიან ცალკეულ ოქსიდებად. თუ შესატყვისი არ შეიძლების ლითონამდე ალდგენის რეაქციებს შემდეგნაირად წარმოვალგენთ:



და ცნობარებში [1,2] წარმოდგენილ თერმოდინამიკურ მახასიათებლებს გამოვიყენებთ, (1,2,3) რეაქციების იზობარულ-იზოთერმულ პოტენციალთა ცვლილების განტოლებები სათანადო ტემპერატურული ზღვრებისათვის შემდეგ სახეს მიღებენ:

FeO-ს ალდგენისათვის:

$$\Delta G_{(1)}^{\circ} = 148490 - 150,24 \cdot T \text{ გოული/მოლი CO } 1000-1690 \text{ კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(1)}^{\circ} = 114265 - 129,49 \cdot T \text{ გოული/მოლი CO } 1690-1809 \text{ კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(1)}^{\circ} = 125311 - 135,60 \cdot T \text{ გოული/მოლი CO } 1809-2000 \text{ კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(1)}^{\circ} = 117110 - 131,50 \cdot T \text{ გოული/მოლი CO } 2000-3000 \text{ კ ტემპ-სთვის}$$

SiO<sub>2</sub>-ის ალდგენისათვის:

$$\Delta G_{(2)}^{\circ} = 336450 - 171,48 \cdot T \text{ გოული/მოლი CO } 1298-1690 \text{ კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(2)}^{\circ} = 360019 - 185,43 \cdot T \text{ გოული/მოლი CO } 1690-2000 \text{ კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(2)}^{\circ} = 343987 - 177,40 \cdot T \text{ გოული/მოლი CO } 2000-3000 \text{ კ ტემპ-სთვის}$$

$\text{Al}_2\text{O}_3$ -ის აღდგენისათვის:

$$\Delta G_{(3)}^{\circ} = 447744 - 194,37 \cdot T \text{ ჯოული/მოლი CO 1000-2000 კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(3)}^{\circ} = 439543 - 190,77 \cdot T \text{ ჯოული/მოლი CO 2000-2303 კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(3)}^{\circ} = 398107 - 176,46 \cdot T \text{ ჯოული/მოლი CO 2303-2740 კ ტემპ-სთვის}$$

$$\Delta G_{(3)}^{\circ} = 593026 - 243,42 \cdot T \text{ ჯოული/მოლი CO 2740-3000 კ ტემპ-სთვის}$$

(1,2,3) რეაქციების იზობარულ-იზოთერმულ პოტენციალთა ცვლილების მოყვანილი განტოლებების გამოყვანისათვის და რეაქციათა წონასწორობის კონსტანტების მნიშვნელობათა ეგძ-ზე გათვლისათვის ჩვენ მიერ ბეისიკის ენაზე შედგენილი იქნასათანად პროგრამა, რომლის რეალიზაციის თანმიმდევრობა წარმოდგენილია ქვემოთ.

10 PRINT "РАСЧЕТ КОНСТАНТ РАВНОВЕСИЯ РЕАКЦИЙ  
КАРБОТЕРМИЧЕСКОГО"

20 PRINT "ВОССТАНОВЛЕНИЯ ОКСИДОВ ЖЕЛЕЗА, КРЕМНИЯ И  
АЛЮМИНИЯ"

30 PRINT

40 REM "РАСЧЕТЫ ВЕДУТСЯ ДО 3000 К"

50 R=8.314

60 INPUT T

70 IF T>1650 GOTO 80\ G1=148490!-150.24\*T\ GOTO 110

80 IF T>1809 GOTO 90\ G1=114265!-129.49\*T\ GOTO 110

90 IF T>2000 GOTO 100\ G1=125311!-135.6\*T\ GOTO 110

100 G1=117110!-131.5\*T

110 K1=EXP(-G1/(R\*T))

120 IF T>1690 GOTO 130\ G2=336450!-171.48\*T\ GOTO 150

130 IF T>2000 GOTO 140\ G2=360019!-185.43\*T\ GOTO 150

140 G2=343987!-177.4\*T

150 K2=EXP(-G2/(R\*T))

160 IF T>2000 GOTO 170\ G3=447744!-194.37\*T\ GOTO 200

170 IF T>2303 GOTO 180\ G3=439543!-190.77\*T\ GOTO 200

180 IF T>2740 GOTO 190\ G3=398107!-176.46\*T\ GOTO 200

190 G3=593026!-243.42\*T

200 K3=EXP(-G3/(R\*T))

210 PRINT K1,K2,K3

(1,2,3) რეაქციების წონასწორობის კონსტანტების  $K_{p(1)}$ ,  $K_{p(2)}$ ,  $K_{p(3)}$ , მნიშვნელობები მოყვანილია 1 ცხრილში.

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ დაბალტემპერატურული პლაზმის გარემოსათვის დამასასიათებელი ტემპერატურის პირობებში რეანის და სილიციუმის ელემენტარულ მდგომარეობამდე აღდგენა პრაქტიკულად სრულად მიმღინარეობს. რაც შეეხება აღსაზღვრის, აღნიშვნულ ტემპერატურებზე მისი აღდგენა მნიშვნელოვანია. შეიძლება

(1), (2) და (3) რეაქციების წონასწორობის კონსტანტების მნიშვნელობები

$K_p = P_{CO} \cdot A_f \cdot \rho$ . რეაქციისათვის	ტემპერატურა, კ			
	2300	2500	2800	3000
(1)	16194	26422	48340	67603
(2)	28,50	120	707	1893
(3)	0,96	7,93	44,87	245

ცხრილ 1-დან ჩანს, რომ დაბალტემპერატურული პლაზმის გარემოსათვის დამასასიათებელი ტემპერატურის პირობებში რეანის და სილიციუმის ელემენტარულ მდგომარეობამდე აღდგენა პრაქტიკულად სრულად მიმღინარეობს. რაც შეეხება აღსაზღვრის, აღნიშვნულ ტემპერატურებზე მისი აღდგენა მნიშვნელოვანია. შეიძლება

დაგესკვნათ, რომ 2500-3000 კ გახურება უზრუნველყოფს რეინის, სილიციუმის მიღებას. ალუმინის ოქსიდების აღდგენით სათანადო პირობებში მათი შენაღნობების მიღებას.

ნარჩენების აღდგენის ექსპერიმენტული კვლევისთვის გამოყიუნეთ 250 კვტ სიმძლავრის პლაზმური ჰაშური ღუმელი, რომლის სქემა მოცემულია [3]. პლაზმური ნაკადის გამოყენებით ღუმელში მიწოდებული კაზმის ხურება მიმდინარეობდა უწვეტად, ხოლო პროცესის პროცესის გამოშვება ღარით ხორციელდებოდა პერიოდულად. კაზმის მიწოდება ხდებოდა ზემოდან იმ ანგარიშით, რომ კაზმის სვეტის სიმაღლე იმყოფებოდა 800-1000 მმ-ის ფარგლებში.

ექსპერიმენტებში გამოყენებული კაზმის კომპონენტების ქიმიური შემადგენლობა მოცემულია 2 ცხრილში.

### ცხრილი 2

ნედლი მასალების ქიმიური შემადგენლობა, წონითი %

მასალის დასახელება	C	ნაცარი	აქროლადები	მინერალური ნაწილის შემადგ.			
				Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	SiO <sub>2</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	CaO
ქვანაზირის გამდიდ. ნარჩენები	8,8	76,3	18,5	22,4	52,5	18,8	0,52
გაუმდიდრებელი ქვანაზირი	22,5	55,0	26,0	31,0	46,0	10,0	-
კირქვა	-	-	-	-	-	-	53,0
კოქსწვრილია	82,5	9,43	10,8	19,4	55,7	20,9	4,0

შენიშვნა: რეინის გუნდები შეიცავდნენ 90%-მდე ლითონურ რეინის, ხოლო მეორადი ალუმინის წარმოების ანაცრის ნარჩენები წარმოადგენს გარკვეულად დაფანგულ ლითონის მასალას, რომელიც შეიცავს 40-50%-მდე ლითონურ ალუმინის, დანარჩენი სხვადასხვა ლითონების უანგეულები. მეორადი ალუმინის წარმოების წილა შეიცავდა 90%-მდე ალუმინის ეანგს და 8-9%-მდე ლითონურ ალუმინის.

### ცხრილი 3

კაზმის შემადგენლობა დნობების მიხედვით

კაზმის შემადგენლობა, კგ	ც დ ი ს ნ ო შ ე რ ი		
	1	2	3
ქვანაზირის გამდიდრების ნარჩენები	69	50	35
გაუმდიდრებელი ქვანაზირი	100	70	70
რეინისგუნდები	-	-	22
კირქვა	-	27	-
დოლომიტი	-	-	15
კოქსწვრილია	7	25	5

ექსპერიმენტები ჩავატარეთ ორ ნაწილად. პირველი ნაწილის მიზანი იყო სტანდარტული ფეროსილიკოალუმინის გამოღნობის შესაძლებლობის დაფგნა ტყიბულის საბადოს ქვანაზმირის გამდიდრების ნარჩენებისა და გაუმდიდრებელი ქვანაზმირის გამოყენებით. კაზმის შემადგენლობა დნობების მიხედვით მოცემულია 3 ცხრილში.

ცნობის რეჟიმი და ზოგიერთი ტექნოლოგიური მახსიათებლები მოცემული კატეგორია  
ცხრილში.

ცხრილი 4

დნობების რეჟიმები და ზოგიერთი ტექნოლოგიური მახსიათებლები

პროცესის რეჟიმი		ცდის ხანგრძლივობა, წთ	შენადნ.-ის შემადგ., წონითი %		
P, კგტ	T, °		Al	Si	Fe
122,0	5100	38	5,0	40,0	48,0
115,0	4850	41	9,0	43,0	40,0
95,7	4300	35	1,5	12,0	73,0

ამ ცხრილებიდან ჩანს, რომ კაზში კალციუმის ოქსიდის ყოფნა (ცდა 2) პირობებს კაზმიდან ალუმინის ფეროსილიციუმში გადასვლის ზრდას. ამ დროს, აგრეთვე, უმჯობესდება ღუმელის მუშაობის რეჟიმი და პროცესის ზოგიერთი მახსიათებლები, მაგალითად, კაზმის მოძრაობა, გამავალი აირების შედარებით დაბალი ტემპერატურა, ლითონისა და წილური ლლობილების ნორმალური გამოშვება.

ექსპერიმენტების შეორე ნაწილის მიზანი იყო ჰარისა და აზოტის შენახერის და კაზში მაღალი ალუმინუმცველი მასალების დამატების გავლენის შეწავლა ლითონში ალუმინის შემცველობაზე.

კაზმის შემადგენლობა ცდების მიხედვით მოცემულია 5 ცხრილში. მიღებულ ლითონურ პროცესზე კომპონენტების შემცველობა მოცემულია 6 ცხრილში.

ჩატარებული ცდების შედეგად გამოვლინდა, რომ პლაზმის წარმოქმნელი აირადი აზოტის გამოყენების შემთხვევაში, როცა კაზმი შედეგად ქვანახშირის გამდიდრების ნარჩენებისაგან (ცდა 4), ან მეორადი ალუმინის წარმოების ანაცრის ნარჩენებისაგან (ცდა 5) დნობები მიმდინარეობდა ძნელადღნობადი წილების წარმოქმნით, რისი მიზანიც აღმართ ძნელად დნობადი ნიტრიდების წარმოქმნაა, ხოლო ალუმინის გადასვლა შენაღნობში დაბალია. კაზში მეორადი ალუმინის წარმოების წილის დამატების დროს, როცა პლაზმის წარმოქმნელი აირი არის ჰაერი (ცდა 6), დნობები მიმდინარეობდა ნორმალურად. ამ დროს ძირითადი ელექტროდენს შემცველობა ლითონში მნიშვნელოვანი იყო. ამგვარად, პლაზმის წარმოქმნელი აირად აზოტის გამოყენება ხელს უშლის, ხოლო მაღალალუმინშემცველი მასალების გამოყენება ხელს უწყობს ალუმინის გადასვლას ლიგატურაში.

თუ შევადარებთ ჩვენ მიერ დაბალტემპერატურული პლაზმის პირობებში ფეროსილიკალუმინის მიღების შედეგებს ერთფაზიან თვითშეცხობად ელექტროდიან 1000 კეტ სიმძლავრის რკალურ ღუმელში მისი მიღების შედეგებს, უნდა ვთქვათ, რომ უკანასკნელ აგრეგატში მიღებული იქნა უფრო მაღალი ალუმინიანი (30,22-33,28%) შენაღნობი ალუმინის ამოლების მნიშვნელოვანი ხარისხით (61,6-75,8%). რით არის გამოწვეული აღნიშნული სხვაობა? პირველყოვლისა, რკალურ ღუმელში მიღებული შედეგები მიღწეულია მის შემდეგ, რაც წინასწარ იქნა დადგენილი მასში პროცესის ჩატარების ოპტიმალური პირობები და შესაძლებელი შეიქნა საცდელი კამპანიის ჩატარება 128 საათის განმავლობაში. ჩვენ შემთხვევაში სხვადასხვა აბიექტური პირობების გამო ცდის ხანგრძლივობის გაგრძელება ხერხდებოდა 40 წუთის ფარგლებში. ამდენად, ჩვენ პლაზმურ ღუმელში მიღებული შედეგები უნდა მივაკუთვნოთ რეჟიმის შემუშავების ცდებს.



კაზმის შემაღენლობა ცდების მიხედვით

კაზმის შემადგენლობა, კგ	ცლის ნომერი		
	4	5	6
ქვანახშირის გამდიღრების ნარჩენები	100	50	50
გაუმდიღრებელი ქვანახშირი	19,5	-	-
კირქვა	37,5	20	20
კოქსწვრილა	20	17	-
მეორადი ალუმინის წარმოების წილა	-	35	35
მეორადი ალუმინის წარმოების ანაცრის ნარჩ.	-	40	-
ანტრაციტი	-	-	36

36906

ლითონურ პროდუქტში კომპონენტების შემცველობა

კვდის ხან-გრძლვება, წთ	პროდუქტის დასახელება	შემცველობა, წონითი %					
		Al	Si	Fe	C	P	S
35	შენაბინი გაცვეტული ღუ-მელის ქუროდან	0,2	32,2	67,1	0,29	-	0,024
40	პირველი გამრაშების ლითონი	12,9	29,2	50,8	0,26	0,096	-
40	ლითონის ნარჩენები წილაში მეოთხე გამრაშების ლითონი	0,55 12,1	2,68 28,1	93,3 51,6	3,42 0,59	0,41 0,067	-

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პლაზმური ღუმელის შემთხვევაში პროცესი არ არის ისე მნიშვნელოვნად დამოკიდებული კაზმის შემადგენლობაზე, როგორც მისი რკალურ ღუმელში ჩატარებისას. ამასთანავე რკალურ ღუმელში მიღწეული შედეგი მიღებულია დაბრიკეტებული კაზმის გამოყენებისას, პლაზმურ ღუმელში კი კემბარობით ფხვიერ, უძნიშვნელოდ არის კაზმს.

ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა პლაზმური ღუმების კაზში კირქვის შეტანისას ალუმინის შენაღნობში გადასვლის მნიშვნელოვანი გაზრდა სილიციუმის გადასვლის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნებით. ამგვარად, ალუმინის ალდეგნის ზრდა მიიღწვა არა სილიციუმის ოქსიდის კალციუმის რესილითან დაკავშირებით, რაც დაბალ-ტემპერატურული პლაზმის პირობებში ნაკლებად საგარეულოა, კირქვის დამატება უნდა მოქმედებდეს არი მიმართულებით: პირველი - კირქვის დაშლით გამოყოფილი ნახშირორეანგის მაღალტემპერატურული ურთიერთქმედება მყარ ნახშირბადთან უნდა აუმჯობესებდეს აირობრივი ფაზის ალდეგნელუნარიანობას ნახშირეანგის შემცველობის ზრდის გამო; მეორე - კირქვის დაშლის პროცესში - კალციუმის ოქსიდი ხელს უნდა უწყობდეს გამოსავალ კაზში მყოფი ალუმინილიკატების დაშლას და ალუმინის ოქსიდის გამოთავისუფლებას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლიტერატურაში [4] ცნობილი შედეგები კვლევის ალუმინილიკატების  $\text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2$  კალციუმის ეანგთან მაღალტემპერატურული ურთიერთქმედებისა, რის შედეგადაც წარმოიქმნება ანორტიტი  $\text{CaO} \cdot \text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2$ , კაზში მაგნიუმის ოქსიდის ქონებისას კი - მელიტიტისა  $2\text{CaO} \cdot \text{MgO} \cdot 2\text{SiO}_2$  და  $2\text{CaO} \cdot \text{Al}_2\text{O}_3 \cdot \text{SiO}_2$ -ის მყარი ხსნარი და გამოკრისტალდება თავისუფალი კორუნდი -  $\text{Al}_2\text{O}_3$ .

დაბოლოს, პლაზმაში ალუმინიკატური შემაღებული ქვანახშირის გამდიდებული რების ნარჩენების აღდგენისას გამოირიცხა კარბიდების და ოქსიკარბიდების წარმოქმნასთან დაკავშირებული გართულებები და ამასთანავე თავს იჩენს სილიციუმის მონოკლინიკის აორთქლებასთან ერთად ალუმინის მნიშვნელოვანი აორთქლება, რაც აპრობებს პლაზმური პროცესის ტემპერატურული რეაქტორის მკაცრი კონტროლის საჭიროებას, რისი შესაძლებლობა გამოყენებულ დანალგარზე ჩვენ არ გვქონდა.

ჩატარებულმა სამუშაომ გამოავლინა ქვანახშირის ნარჩენების და თიხამიწით მდიდარი წილების გამოყენებით სტანდარტული ფეროსილიკოალუმინის მიღების შესაძლებლობა და ამასთანავე დასახა მისი შემდეგში გაღრმავებული შესწავლის საჭიროება პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შემოვიდა 23.07.1993

Г.Н.ЗВИАДАДЗЕ, Р.Д.ЛАБАДЗЕ

## ИССЛЕДОВАНИЕ ПОЛУЧЕНИЯ ФЕРРОСИЛИКОАЛЮМИНИЯ ИЗ ОТХОДОВ ОКСИДНОГО СОСТАВА В НИЗКОТЕМПЕРАТУРНОЙ ПЛАЗМЕ

### Резюме

Исследовано карботермическое восстановление отходов обогащения углей в низкотемпературной плазме и установлена возможность получения ферросиликоалюминия. Внесение в шихту известняка или богатых окисью алюминия материалов обеспечивает большее содержание алюминия в получаемом сплаве.

G.ZVIADADZE, R.LABADZE

## THE INVESTIGATION OF FERROSILICOALUMINIUM OBTAINING FROM OXIDE COMPOSITION WASTES IN LOWTEMPERATURE PLASMA

### Summary

Carbothermal reduction of coal dressing wastes in low temperature plasma was studied and the possibility of ferrosilicoaluminium obtaining was established. The addition of lime into the charge or the substances rich with aluminium oxide, provides the greater content of aluminium in the obtained alloy.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Куликов И.С. Раскисление металлов, М.: Металлургия, 1975.
2. Элиот Д.Ф., Глейзер М., Рамакришина В. Термохимия сталеплавильных процессов. М.: Металлургия, 1969, 252.
3. ზვიადაძე გ., ლაბადვარი რ. საქ. მაც. აკად. მთამბე.
4. Микеладзе Г.Ш., Надираძэ Е.М., Гогорашвили Б.П. Труды института металлургии АН ГССР, т.XIV, 1964, 81-83.
5. Звиададзе Г.Н., Лабадзе Р.Д., Власов Ю.М. Положительное решение ВНИИГПЭ по заявке N 4775824(02)156631 от 29.12.89 г. "Шихта для получения ферросиликоалюминия".
6. Горох А.В., Русаков А.Н. Петрографический анализ процессов в металлургии. М.: Металлургия, 1973.

## КРАТКИЕ СООБЩЕНИЯ

УДК 547.944

Л.Г.КИНЦУРАШВИЛИ, В.Ю.ВАЧНАДЗЕ

### АЛКАЛОИДЫ *THALICTRUM FOETIDUM L.* И *THALICTRUM TRITERNATUM RUPR.*, ПРОИЗРАСТАЮЩИХ В ГРУЗИИ

Виды р. Василистник *Thalictrum L.* из семейства лютиковых *Ranunculaceae* характеризуются высоким содержанием изохинолиновых алкалоидов, обладающих противоопухолевым, антилейкемическим, гипотензивным, антиаритмическим и другими ценными фармакологическими свойствами [1,2].

Настойка надземной части Василистника вонючего-*Thalictrum foetidum L.* Применялась в медицине в качестве гипотензивного средства при гипертонической болезни I и II стадии [3].

Алкалоидный состав Василистника триждытройчатого-*Thalictrum triteratum Rupr.* до недавнего времени не изучался.

Сумму алкалоидов из корней и надземных органов этих растений получали экстракцией измельченного сырья метанолом. После отгона метанола, густой экстракт обрабатывали 10% серной кислотой, кислые извлечения подщелачивали до pH=9 25%-ным раствором аммиака, и алкалоиды количественно извлекали хлороформом. При этом получали третичную сумму оснований, которую делили на фенольную и нефенольную части.

Таблица 1

Алкалоиды из *Thalictrum foetidum L.* и *Thalictrum triteratum Rupr.*,  
произрастающих в Грузии

Растение	Место и дата сбора	Орган растения	Сумма алкалоидов, % от веса возд. сух. сырья			Выделенные алкалоиды	
			третичные		четвер- тичные		
			феноль- ные	нефе- нольные			
<i>Thalictrum foetidum L.</i>	Гори село Атени, 30 июля 1990 г.	Надзем- ная часть	0,18	1,28	1,01	Тальмин, фетидин, тлауцин, тальфин	
		Корни	0,13	0,16	3,8	Фетидин, глау- цин, берберин, магнофлорин	
<i>Thalictrum triteratum Rupr.</i>	Тетри-Цкаро, 18 августа 1990 г.	Надзем- ная часть	0,16	0,56	0,9	Тальмин, глауцин, аргемонин, α-ал- локриптонин, про- топин	
		Корни	0,2	0,38	1,5	Тальмин, глауцин, берберин, магно- флорин	

После извлечения третичных оснований из подкисленного маточного раствора добавлением насыщенного раствора йодистого калия получали йодиды четвертичных оснований, отделяли растворимые в хлороформе иодиды[4].

Выделенные основания приведены в таблице 1.

Алкалоиды были идентифицированы на основании сравнения с данными литературы их физико-химических характеристик, а также сравнением с достоверными образцами.

Таким образом, растение *Thalictrum foetidum L.*, произрастающее в Грузии, содержит изохинолиновые алкалоиды, среди них физиологически активные – фетидин, глауцин, берберин. *Thalictrum trternatum Rupr.* впервые охарактеризован нами, как алкалоидоносное растение.

Институт фармакохимии  
им. И.Г.Кутателадзе АН Грузии

Поступило 7.04.1993

ლ. კინტურაშვილი, ვ. ვაჩნაძე

**საქართველოში მოზარდი *THALICTRUM FOETIDUM L.* და  
*TH. TRTERNATUM RUPR.* აღკალოიდები**

რეზიუმე

გამოკვლეულია საქართველოში მოზარდი მაჟარას - *Thalictrum*-სახეობები: *Thalictrum foetidum L.* და *Thalictrum trternatum Rupr.*

დადგენილია, რომ *Thalictrum foetidum* მიწის ზედა ნაწილები შეიცავს იზო-ქინოლინის ჯუფის ალკალოიდებს: ტალმინს, ფეტილინს, გლაუცინს, ტალფინს; ფეტიდინ-ფეტილინს, გლაუცინს, ბერბერინს, მაგნოფლორინს.

*Th. Trternatum* პირველად ჩვენს მიერ იქნა დახასიათებული, როგორც ალკალოიდშემცველი მცენარე. მისი მიწის-ზედა ნაწილი შეიცავს ტალმინს, გლაუცინს, ორგემონინს,  $\alpha$ -ალოკრიპტოპინს, პროტოპინს, ფეტიდინ-კი-ტალმინს, გლაუცინს, ბერბერინს, მაგნიფლორინს.

L.KINTSURASHVILI, V.VACHNADZE

**ALKALOIDS FROM *THALICTRUM FOETIDUM L.* AND *THALICTRUM TRTERNATUM RUPR.*, GROWING IN GEORGIA**

**Summary**

The species of *Thalictrum* L. (Ranunculaceae fam.): *Thalictrum foetidum* L. and *Thalictrum trternatum* Rupr., growing in Georgia have been studied.

It has been established that overground parts of the plant *Thalictrum foetidum* L. contain isoquinoline bases, such as thalmine, fetidine, glaucine, thalfine and the roots contain fetidine, glaucine, berberine, magnoflorine.

We were the first to characterize *Thalictrum trternatum* Rupr. as an alkaloid bearing plant, whose overground parts contain thalmine, glaucine, argemonine,  $\alpha$ -allocryptone, protopine, while its roots contain thalmine, glaucine, berberine, magnoflorine.

**ლიტერატურა-ЛІТЕРАТУРА-REFERENCES**


1. Corgell G.A., Farhaworth N.R. Lloydia, 1977, 40, 1, p. 1-41.
2. Herman E.H. Chadwick D.P. Toxic. and App. Pharm., 1973, 26, 1, p. 37-147.
3. Машковский М.Д. Лекарств. средства, М., Медицина, 1977, т. 1.
4. Кинцурашвили Л.Г., Вачнадзе В.Ю. Химия природ. соединений, 1987, 5, с. 768-769.

საბ 541.127

გ.ლექტონი

**ალკენების ცის-ტრანს-იზომერული გარდაშმნების ალგებრული  
გამოკვლევა**

ცნობილია, რომ გარეულ პირობებში ცის-ალკენები შეიძლება გარდაიქმნან ტრანს-ალკენებად [1]:



მოცემულ ნაშრომში ეს პროცესი შესწავლილია  $\gamma$ -მატრიცის მეთოდის გამოყენებით.  $\gamma$ -მატრიცის დიაგონალური ელემენტები კომპლექსური რიცხვებია და გამოითვლება ფორმულით:

$$g_{kk} = Z_k + 0,1N_k + f_k \cdot i \quad (1)$$

საჭაც  $Z_k$   $k$ -ური ატომის (ნახშირბად - ან ჰეტეროატომის) რიგობრივი ნომერია (წყალბადატომები არ განიხილება),  $N_k$  - მასთან შეკავშირებული წყალბადატომების რაოდენობა,  $f_k = +1; -1; 0$ , მისიდა მიხედვით, თუ  $k$ -ური ატომი მარჯვნივ მაბრუნებელი, მარცხნივ მაბრუნებელი ან ოპტიკურად არააქტიურია;  $\gamma$ -მატრიცის არა-დიაგონალური ელემენტები ასევე კომპლექსური რიცხვებია და ტოლია:

$$g_{kl} = D_{kl} + 0,1e_{kl} + p_{kl} \cdot i, \quad (2)$$

სადაც  $D_{kl}$   $k$ -ურ და  $l$ -ურ ატომებს შორის ბმის რიგია,  $e_{kl}$  ამავე ატომების ექვივალენტურობის კოეფიციენტი,  $e_{kl} = 0; 1$ , ხოლო  $p_{kl} = 1$  თუ  $k$  და  $l$  ატომები ცის-მდგომარეობაშია,  $p_{kl} = -1$ , თუ ისინი ტრანს-მდგომარეობაშია და  $p_{kl} = 0$ , თუ სტერიოიზომერია მათ შორის არ ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ მოლეკულაში ატომთა დანომრების რიგი თავისუფალია [2].

ამგვარად, ცის-ტრანს-იზომერიზაციის პროცესი  $\gamma$ -მატრიცის მეთოდით ასე ჩაიწერება:

$$\left| \begin{array}{cccc} 6,3 & 1 & 0 & 0,1+i \\ 1 & 6,1 & 2,1 & 0 \\ 0 & 2,1 & 6,1 & 1 \\ 0,1+i & 0 & 1 & 6,3 \end{array} \right| \rightarrow \left| \begin{array}{cccc} 6,3 & 1 & 0 & 0,1-i \\ 1 & 6,1 & 2,1 & 0 \\ 0 & 2,1 & 6,1 & 1 \\ 0,1-i & 0 & 1 & 6,3 \end{array} \right|$$

$\gamma$ -მატრიცის საფუძველზე შემოტანილია ახალი ტოპოლოგიური ინდექსები:

$$A = \frac{\sum_{k,l=1}^n g_{kl}}{n^2 - n} \quad (3)$$

$$A_{ef} = Re\{A\} + B/B / \quad (4)$$

სადაც  $B = Im\{A_{ef}\}$ .

გარდამნის გ-მატრიცას ამ შემთხვევაში ასეთი სახე იქნა:

$$\begin{vmatrix} 0 & 0 & 0 & -2i \\ 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 \\ -2i & 0 & 0 & 0 \end{vmatrix}$$

ამდენად,  $A = -i/3 = -0,333i$  და  $A_{ef} = -0,111$ , ხოლო

$$\Delta S_{298}^0 = S_{\text{ტრან}}^0 - S_{\text{ცის}}^0 = -1,04$$

გამოკვლეულია ალკენების სხვა წარმომადგენელთა ცის-ტრანს-იზომერიზაცია. ყველა ამ პროცესისათვის შეიძჩნევა  $A_{ef}$ -ინდექსის შემცირების ტენდენცია, რაც შეესაბამება სტანდარტული ენტროპიის ცვლილების მიმართულებას [3].

ივ.ჭავაძეშვილის სახ. თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემოვიდა 25.09.1994

Г.Н.ЛЕКИШВИЛИ

## АЛГЕБРАИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ЦИС-ТРАНС-ИЗОМЕРНОГО ПРЕВРАЩЕНИЯ АЛКЕНОВ

Резюме

Исследованы цис-транс-изомерные превращения алкенов методом  $\gamma$ -матрицы ( $\gamma$ -матрица построена на основе комплексных чисел и содержит информацию о структурах молекул и разницах между структурами стереоизомеров). Внесен новый топологический индекс ( $A_{ef}$ ). Установлено, что процесс идет с уменьшением этого индекса, что в основном согласуется с направлением изменения стандартной энтропии.

G.LEKISHVILI

## ALGEBRAIC APPROACH OF CIS-TRANS-ISOMERIC TRANSFORMATIONS OF ALKENES

Summary

The cis-trans-isomeric transformations of alkenes are investigated by the method of  $\gamma$ -matrix (used the complex numbers  $\gamma$ -matrix contains the information on the structure of molecules and furthermore, on the difference between the structures of stereoisomers). The new topological index ( $A_{ef}$ ) is introduced. It's established that the process is connected with the decrease of the values of the  $A_{ef}$ -indices. This principally corresponds with the nature of the change of the standard entropy.

### ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Дж.Робертс, М.Касерио. Основы органич. химии, т. I, М.: 1978.
2. М.Гвердцители. Принципы номенклатуры органических соединений. Тбилиси, 1983.
3. В.А.Киреев. Методы практических расчетов в термодинамике химических реакций. М.: 1975.


საჯ 541.127

გ.ჩახტაური, გ.გვერდითელი

**მონოკალოგენეთანების ალგებრული განხილვა მრბს-მატრიცების  
გამოყენებით**

მოლეკულური გრაფების თანაზიარობის მატრიცები და მათი მრავალრიცხოვანი მოდიფიკაციები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე თეორიულ თრგანულ ქიმიაში [1-4]. თანაზიარობის მატრიცების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს მრბს-მატრიცები, რომელთა დიაგონალური ელემენტებია მოლეკულაში შემავალი ატომების მასური რიცხვები ( $M$ ), არადიაგონალური - ქიმიური ბმების სიგრძეები ( $r$ ).

განვიხილოთ  $AX_3Y$  ტიპის მოლეკულები, სადაც  $A$  - ოთხვალენტოვანი ელემენტია, ხოლო  $X$  და  $Y$  - ერთვალენტოვანი. ქვემოთ მოტანილია  $AX_3Y$  მოლეკულის გრაფიკული ფორმულა მასში შემავალი ატომების ნუმერაციით და შესაბამისი მრბს-მატრიცა:



$M_A$	$r_{AY}$	$r_{AX}$	$r_{AX}$	$r_{AX}$
$r_{AY}$	$M_Y$	0	0	0
$r_{AX}$	0	$M_X$	0	0
$r_{AX}$	0	0	$M_X$	0
$r_{AX}$	0	0	0	$M_X$

მატრიცის პირველი სვეტი შეესაბამება ატომს, რომელიც გრაფიკულ ფორმულაში დანომრილია ციფრით 1(A), მეორე სვეტი შეესაბამება ატომს, რომელიც გრაფიკულ ფორმულაში დანომრილია ციფრით 2(Y) და 0.შ. მატრიცის პირველი სვეტი იწყება  $A$  ელემენტის მასური რიცხვით -  $M_A$ ; შემდეგ მოდის  $A - Y$  ბმის სიგრძე -  $r_{AY}$ ; შემდეგი სამი წევრი შეესაბამება  $A - X$  ბმის სიგრძეს -  $r_{AX}$ . ანალოგიურადაა აგებული მრბს-მატრიცის სხვა სვეტებიც. ამ მატრიცის დეტერმინანტი გამოითვლება ფორმულით:

$$\Delta = M_x^2 (M_A M_Y M_X - r_{AY}^2 M_X - 3r_{AX}^2 M_Y) \quad (1)$$

მონოპალოგენმეთანების შემთხვევაში (1) ფორმულა მიღებს სახეს:

$$\Delta = 12 M_Y - r_{AY}^2 - 3r_{AX}^2 M_Y, \quad (2)$$

სადაც  $M_Y$  პალოგენატომის მასური რიცხვია,  $r_{AY}$  - ნახშირბად-პალოგენის ბმის სიგრძე, ნახშირბად-წყალბად ბმის სიგრძეა  $r_{AX}$ .

აღმოჩნდა, რომ  $\Delta$ -ს მნიშვნელობები მონოპალოგენმეთანებისათვის იზრდება  $\Delta H_{298}^{\circ}$ ,  $\Delta G_{298}^{\circ}$  და  $S_{298}^{\circ}$ -ის მნიშვნელობათა პარალელურად [5].

ნაერთი	$\text{CH}_3\text{F}$	$\text{CH}_3\text{Cl}$	$\text{CH}_3\text{Br}$	$\text{CH}_3\text{I}$
$\Delta$	155,85	287,47	660,56	1050,04
$\Delta H_{298}^\circ$ გჯალ/მოლი	-59,00	-20,6	-8,96	3,5
$\Delta G_{298}^\circ$ გჯალ/მოლი	-53,29	-15,00	-6,70	3,91
$S_{298}^\circ \text{ ე.ე.}$	53,25	56,02	58,76	60,67

ივ.ჭავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

შემოვიდა 08.05.1993

Г.А.ЧАХТАУРИ, М.И.ГВЕРДЦИТЕЛИ

## АЛГЕБРАИЧЕСКОЕ РАССМОТРЕНИЕ МОНОГАЛОГЕНМЕТАНОВ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ МЧДС-МАТРИЦ

### Резюме

Рассмотрен алгебраический метод записи органических молекул в виде квадратных матриц, диагональными элементами которых являются массовые числа химических элементов, а недиагональными элементами - длины химических связей (МЧДС - матрицы). Оказалось, что значения детерминантов МЧДС - матриц в ряду галогенметанов меняются параллельно со значениями  $\Delta H_{298}^\circ$ ,  $\Delta G_{298}^\circ$  и  $S_{298}^\circ$ .

G.CHAKHTAURI, M.GVERDTSITELI

### ALGEBRAIC CONSIDERATION OF MONOHALOGENMETHANES IN TERMS OF MNBL - MATRIX METHOD

### Summary

An algebraic method of organic compounds recording in the form of square symmetric matrices has been worked out. Diagonal elements of the matrices represent mass number of chemical elements, whereas nondiagonal elements - the length of the corresponding chemical bonds (MNBL - matrix). The values of NMBL - matrix determinants for monohalogenmethanes change in parallel with the values of some thermodynamic characteristics of these molecules.

### ლიტერატურა-REFERENCES

1. *Зыков А.А.* Основы теории графов. М.: Наука, 1987.
2. *Яцимирский К.Б.* Применение теории графов в химии. Киев, 1975.
3. *Гвердцители М.И., Девдариани Р.О.* Изв. АН ГССР, сер.хим., 1990, т.16, 159.
4. *Гвердцители М.И., Гвердцители И.М.* Сообщ. АН ГССР, 1990, т.138, 1, 61.
5. *Карапетянц М.Х.* Химическая термодинамика, М.: Химия, 1975.

ქრონიკა



1995 წლის 24 ოქტომბერს შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ცნობილი ქიმიკის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველის, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ვლაძიმერის ქ. ციციშვილის დაბადებიდან 80 წელი.

იმავე დღეს იუბილარს მიულოცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ა. თავერელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გ. ციციშვილმა, როგორც მრავალი წლის განმავლობაში ქართული ქიმიური სკოლის ლიდერმა, შეიტანა უდიდესი წვლილი აუსახულიაში მეცნიერების წინსვლაში, განავითარა მრავალმხრივი შემოქმედებითი კავშირები. აკადემიკოსებმა გ. გველესიანმა, გ. შ. ციციშვილმა, კ. წერეთველმა, თ. ანდრონიკაშვილმა, წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩივაძემ, პროფესორებმა შ. სიდამონიძემ, ა. დოლიძემ, ი. ციციშვილმა, იუბილარის მოწაფებმა, მეგობრებმა, ნათესავებმა გულთბილად მიულოცეს და უსურევს მრავალ წელს ჯამშრთელობა, ბენდინიერება და შემოქმედებითი წარმატებები.

ქიმიური მეცნიერების განვითარების საჭმეში განსაკუთრებული წელილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის გ. ციციშვილი დაწილდოვდა ლირსების ორდენით.

1995 წლის 27 ოქტომბერს შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, ივ. ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ქიმიური საზოგადოების, ცელითების საქართველოს ასოციაციის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გიორგი ციციშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს.

ცნობილი მოვლენების გამო შექმნილმა რთულმა მღვრმარებამ შესაძლებლობა მისცა მრავალ საზღვარგარეთო შეცნიერს მონაწილეობა მიეღო სესიის მუშაობაში.

სესიის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა, განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გველესიანმა. მოსხენებით - „გ.ციციშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გამოვიდა აკადემიკოსი თ.ანდრონიკ შვილი. მან ილაპარაკა იუბილარის ნაყოფიერი სამეცნიერო, სამეცნიერო-ორგანიზაციული და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა მისი შესანიშნავი პიროვნული თვისებები.

გ.ციციშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი შედეგების შესახებ მოახსენეს: ნივთიერების აღნავობის დარგში - ქიმ. მეცნ. კანდიდატმა მ.ურუშაძემ, მონტორილონიტური თიხების და ცეოლითების (მოღვაულური საცრების) მოდიფიცირებაზე - ქიმ. მეცნ. კანდიდატმა ნ.დოლაბერიძემ (ქიმ. მეცნ. დოქტ. ა.ქრუჭენიკოვასთან ერთად), ცეოლითებზე და თიხებზე მიმდინარე აღსორბციულ და კატალიზურ პროცესებზე - ქიმ. მეცნ. დოქტორმა შ.სიდამონიძემ.

ჩესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები, იუბილარის მოწაფეები გამოვიდნენ მილოცვებით და გადასცეს აღრესები (მისალმებანი).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების მისალმებაში აღნიშნა: „ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე თქვენ არსებითი წვლილი შეიტანეთ ფიზიკური ქიმიის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში, როგორიც არის ნივთიერების აღნავობა და სორბციული პროცესები, შექმენით აღსორბციული სკოლა და საფუძველი ჩაუყარეთ ზედაპირული მოვლენების კვლევის განვითარებას საქართველოში...“

„თვალსაჩინოა თქვენი ლაწყლი საქართველოში ქიმიური მეცნიერების წინსვლა-განვითარების საქმეში. თქვენ თითქმის სამი ათეული წელი უნარიანად ხელმძღვანელობდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეთ განყოფილებაში შემავალი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისალმებიდან: „ნახევარ საუკუნეშე მეტია, რაც თქვენ დიდ როლს ასრულებდთ და ასრულებთ ივ.გვარიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში...“ „მთელი თქვენი შემოქმედებით სისხლხორცეულად დაკავშირებული ბრძანდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტით“. ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის აკადემიკოს გ.ციციშვილი დაწილდოვდა ივანე ჭავახიშვილის მედლით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლეჯტივის სახელით ითქვა: „თქვენ მიერ შექმნილი აღსორბციული სკოლის გამოკლევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ჩვენი უნივერსიტეტის მრავალი კათედრის სამეცნიერო მოღვაწეობაზე...“ „გამოჩენილი მეცნიერის, მეცნიერების ორგანიზატორის, ახალგაზრდა მეცნიერის აღმზრდელის თვისებები თქვენში შერწყმულია შესანიშნავ აღამიანურ თვისებებთან“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით აღნიშნა: „არიან აღამიანები, რომლებიც სიცოცხლეშვივე იქცევიან ლეგენდად, თქვენ სწორედ ერთ-ერთი

იმათგანი ხართ, ორმლებიც ახალგაზრდულად და შძლავრად დააბიჯებთ ღმერთის მიწაზე“.

პ.მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი: „თქვენ მუდამ შემოქმედებით ძიებაში ბრძანდებით, ხალასი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, კეთილმოსურნეობა და შემოქმედებითი კოლექტივების დარაზმის უნარი გახდა თქვენი დიდი მეცნიერულ-პედაგოგიური, სამეცნიერო-ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმატებების საფუძველი...“ „წლების განვალობაში ხელმძღვანელობდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტს. ამ შემოქმედებითი საქმიანობის პერიოდში ყოველივეს დაეტყო თქვენი კეთილი გავლენა“.

რ.აგლაძის სახელობის არაორგანული და ელექტროქიმიის ინსტიტუტი: „დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ქიმიური პროფილის კვლევითი ცენტრი თუ სასწავლებელი, სადაც წარმატებით არ მოღვაწეობდნენ თქვენი აღზრდილები“... „თქვენი საქმიანობა დიდი ხანია გასცდა საკუთარი მეცნიერული ინტერესების სფეროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში აკადემიკოს-მდივნის პოსტზე თქვენი ხანგრძლივი მოღვაწეობის წყალობით საქართველოში ქიმიური მეცნიერება განვითარდა ფართო სპექტრით“.

ი.ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი: „თქვენს სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ფიზიკური ქიმიის აღმავლობა, ამ დარგის მრავალი მეცნიერული მიმართულებების დაფუძნება და განვითარება“... „თქვენი უუნდამენტური კადევის შედეგებმა ფართო გამოყენება პროგა პრაქტიკაში“.

ფ.თავაძის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი: „ქართველი მეტალურგები ყოველთვის გრძნობდნენ თქვენს მხარდაჭერას და თანდგომას ფუნდამენტური და გამოყენებითი სამუშაოების ორგანიზაციასა და შესრულებაში“.

ურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე - ქიმიის სერია“: „მეცნიერული მუშაობის გვერდით თქვენ ახერხებდით სისხლსავსე საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყავით დირექტორიც, თავმჯდომარეც, მომსხვებელიც (მთელი საქართველოს სახელით), თქვენი მეცნიერული მონაპოვრების პრაქტიკაში დამნერველიც, მრავალი სხვა საქმის ორგანიზატორიც, მათ შორის ჩვენთვის უძვირფასესიც - პირველი ქართული ქიმიის უუნდალის დამაარსებელიც“.

ა.ლანჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტი: „თქვენი როგორც მეცნიერის დამსახურება ის არის, რომ წარმატებით აგრძელებთ რა თქვენს მოღვაწეობას ქიმიის დარგში, მეცნიერული საფუძვლები ჩაუყარეთ კავკასიაში არამაღნეული წიაღისეული სიმდიდრის ხალხის სამსახურში ჩაყენებას“.

ა.ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი: „თქვენს მიერ დადგენილი ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიურმა მახასიათებლებმა შექმნეს საფუძველი მათი როგორც აღსორბენტების გამოყენებისა მეურნალობის პროცესში ისეთი მძიმე პათოლოგიის დროს, როდესაც საჭიროა ორგანიზმის განთვალისუფლება მომწამვლელი ნივთიერებებისაგან“.

ლ.ყანჩაველის სახელობის მცნიარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: „ამჟამად, მიუხედავად დიდი შეჭირვებისა, ჩვენი ერთობლივი კალევები შეძლებისდაგვარად მაინც გრძელდება. კვლევის ობიექტია ბუნებრივი ცეოლითები მცნიარეთა დაცვაში“.

ქრომატოგრაფიის ცენტრი: „ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით და თანადღომას ჩვენი მეცნიერული კვლევების ჩატარების დროს“.

საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია: „გან-საკუთრებით აღსანიშნავია თქვენი მოღვაწეობა საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში, როგორც სამეცნიერო საბჭოს წევრის, ჩვენი კომისიის ჩამოყალიბებასა და მიზნების განვითარების მიზანით პრიბლებების დამუშავებაში“.

სამეცნიერო-კვლევითი ფიზიქა „გამა“: „აღვნიშვნათ, რომ ყველა ჩვენთაგანისათვის ოქენე მაღალი კულტურის, ინტელექტის, განათლების და კაცომოყვარეობის მაგალითი ბრძანდებით“.

ჰელდინგური კომპანია „სამთო ქიმია“: „თქვენი და ქართველ გეოლოგთა შეცნიერების კვლევები დაცვო საფუძვლად წარმოების ორგანიზაციის პოლდინგურ კომპანია „სამთო ქიმიაში“. თქვენ იყავით ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი ბუნებრივი ცეოლითების წარმოების შექმნისა და მისი ფართოდ გამოყენებისა ყოფილ საბჭოთა კავშირში“.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღსორბციის სამეცნიერო საბჭო (ინსტიტუტის დირექტორი, წევრ-კორესპონდენტი ი.პოლუჟაროვი და აღსორბციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ნ.პოლიაკოვი): „აღსორბციის და აღსორბენტების ფუნდამენტური გამოკვლევების უმნიშვნელოვანესმა შედევებმა მოიპოვეს საყოველთაო აღიარება. თქვენმა დიდმა მეგობრობამ აკადემიკოს მ.დუბინინთან და რუსეთის მჩავალ მეცნიერთან ხელი შეუწყო შემოქმედებით თანამეგობრობას და წარმატებებს უზნდამნტურ გამოკვლევებში...“ „თქვენ შექმნით საქართველოში ფიზიკური ქიმიის შესანიშვნავი სკოლა, თქვენი მოწაფეები, ამჟამად გამოჩენილი მეცნიერები, თქვენი და მსოფლიო მეცნიერების სიამაყენა. თქვენ ცნობილი ხართ როგორც ტალანტური ინიციატორი მრავალი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პროექტისა ბუნებრივი და სინთეზური კოლექტებისა და სხვა სორბენტების შესწავლისა და გამოყენების დარგში“.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (ფაკულტეტის დეკანი, წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვ.ლუნინი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი ო.პეტრი): „თქვენ შეიტანეთ უდიდესი წვლილი საქართველოს ჩესპუბლიკაში ფიზიკური ქიმიის, საერთოდ ქიმიის და ქიმიური ტექნოლოგიის განვითარებაში...“ „თქვენი მრავალრიცხოვინი პუბლიკაციები და წიგნები დიდად დაფასებულია და ფართოდ გმოყენება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპეციალისტების მიერ ბუნებრივი მასალების, ქრისტოფერიანის და აღსორებულის დარგში“.

იუბილარის სახელზე შემოსული დეპეშებიდან და წერილებიდან აღსანიშნავია: აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილება (ციცე-პრეზიდენტი, აკადემიონი მ.აბასოვი, განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკონი თ.შახტაბტისკი): „ოქვენი კალევები და სამუშაოები კარგად არის ცნობილი ქიმიური საზოგადოებისათვის, თქვენ დიდ ცოდნას და გამოცდილებას უზიარებთ მოწაფეებს, თქვენს მიერ შექმნილია მაღალკვალიფიციური კადრების საჭარბევლოს ასოცირებული სკოლა“.

სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება, ქიმიის საპრობლემო საბჭო (აკადემის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ფ. სარქისიანი, ვიკე-პრეზიდენტი, განყოოლების აკადემიკოს-მდივანი ე. გაბრიელიანი).

საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ა.შანთაშიანი): „თქვენმა შრომებმა ნივთებულების აღნაგობის და სორბციული პროცესების დაზღვი მოიპოვეს საყოველთაო აღიარება და ფართო გამოხმაურება შორს საქართველოს საზღვრებიდან. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია თქვენი მეგობრობა და შემოქმედებითი კავშირები სომხე მეცნიერებითან“.

იუბილარს მიულოცეს რუსეთის შეცნიერებათა აკადემიის ნ.ზელინსკის სახ. ორგანული ქიმიის ინსტიტუტიდან (დირექტორი, აკადემიკოსი ვ.ტარტაროვსკი, აკადემიკოსი ხ.მინაჩევი, პროფესორი ნ.რიაშენცევა), ხალხთა მეგობრობის რუსეთის უნივერსიტეტიდან (რექტორი, პროფესორი ვ.ფილიპოვი, აკადემიკოსი ვ.გრიაზნოვი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სილიკატების ქიმიის ინსტიტუტიდან (დირექტორი, აკადემიკოსი მ.შულცი, დირექტორის მოადგილე, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი ს.ხვოშჩევი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გ.ბორესკოვის სახელობის კატალიზის ინსტიტუტიდან (დირექტორი, აკადემიკოსი კ.ზამარაევი), სანკტ-პეტერბურგის ტექნიკური უნივერსიტეტიდან (კათედრის გამგე, რუსეთის ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ნ.ფედოროვი), ბელორუსიდან (ბელორუსის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ.კომაროვი), უზბეკეთიდან (აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა.აბდუვაზაბოვი, ქიმიურ-ტექნოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნ.პერპიევი, აკადემიკოსი კ.აბმედოვი), მოსკოვიდან (პროფესორები ე.ლუბინინა და ა.ფომქინი), ხარკოვიდან (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო.მჭედლიშვილი-პეტროსიანი), თბილისიდან (აკადემიკოსები გ.ხარაძე, ნ.სხირტლაძე, წევრ-კორესპონდენტი გ.ზარიძე) და სხვა.

სამეცნიერო სესიის დასასრულს აკადემიკოსმა გიორგი ციციშვილმა გულთბილად მოიგონა მშობლები, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები, აღამიანები, რომლებმაც გზაუსწენეს მეცნიერებაში, კოლეგები და სიყრმის მეგობრები, ვინც ჩვენთან აღარ არის. შემდგომ მიმოხილა საქართველოში ქიმიის განვითარების ზოგიერთი საკვანძო მომენტი. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების დაარსების დიდ მნიშვნელობას. განსაკუთრებით აღნიშნა აკადემიკოსების ნ.მუსხელიშვილის, ალ.განელიძის, ი.ვეკუას, ნ.კეცხველის და მ.დუბინინის დახმარება და მხარდაჭერა ქიმიური მეცნიერების განვითარების საქმეში. მან დიდი და გულითადი მაღლობა მოახსენა ყველას, ვინც მობრძანდა სესიაზე, მიულოცა ადრესით, წერილით, ტელეგრამით და დააფასა მისი შრომის მოკრძალებული შედეგი.

- - -

1995 წლის 15-16 ნოემბერს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“, მიძღვნილი აკადემიკოს გ.ციციშვილი დაბადების 80 წლისთავისაღმი.

၆၇ ၁၁/၁၂